პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

1979 წელი
სამშაბათი
18 სექტემბერი
№ 215 (17560)
ფასი 2 კაპ.

რაც არ შეგვფერის, არ გვეკადრება!

ყოველ შგანზეც უნდა ვმუშაობდეთ, რომელ სფეროშიც უნდა ვმოღვაწეობდეთ, ჩვენი გარემოს, ქალაქის, ქუჩის, ეზოს, სახლის სიყვარული, მისი ავ-კარგისათვის ფიქრი და შრომა, წესრიგისა და წესიერების დამყარებისათვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუდმივი ზრუნვა თითოეული ჩვენგანის სისხლხორცეული საქმე უნდა იყოს.

საზოგადოებრივად სასარგებლო, ადამიანებისათვის სასიკეთო შრომა და ღვაწლი უქმად არ ჩაივლის, რადგან ამ შრომის ნაყოფით შთამომავლობა ისარგებლებს, გაიხარებს, დიდი მადლიერების გრძნობით მოგიგონებს და ისიც შენს მაგალითზე ერთგულად მოეკიდება ქვეყნის ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

და, რა თქმა უნდა, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა ხორცშესხმას არა მარტო ქარხნებსა და ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში თავდადებული შრომით ეყრება საფუძველი, არამედ თითოეული ჩვენგანის ცხოვრების წესით, ყოველდღიური ქცევითა და მოქმედებით, ყოფისა და ცხოვრების სანიმუშო მოწყობით, იმის ღრმა შეგნებით, რომ გვერდით არ ვითმენდეთ ზარმაცსა და ცუდლუტს, ორგულსა და გულგრილს, დღენიადაგ ვებრძოდეთ მართლწესრიგის ეგრეთ წოდებულ წვრილმან დარღვევებსაც კი.

ასეთი მისწრაფებები ამოძრავებს ხოლმე ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს, რომელთა საქმიან ფუსფუსს ეზოში თუ ქუჩაში, სამსახურში თუ სახლში ვხედავთ და, ცხადია, ყველას უღრმეს სიამოვნებას გვგვრის. რამდენჯერ გვინახავს, როცა შაბათ-კვირას მეზობელი, ნაცნობი თუ ნათესავი საერთო ეზოში ან ქუჩაში რგავს ხეს, ბაღსა და სკვერში უვლის მცენარეს, კიცხავს და არიგებს გაზონების დამზიანებლებს, დღისით სადარბაზოში აქრობს უქმად მოკიაფე ნათურას, ასუფთავებს გარემოს, თავის ადგილს მოუნახავს დაგდებულ ნივთს, ნარჩენს, სახელმწიფო ქონებას ექცევა ისე, როგორც საკუთარს. ერთი სიტყვით, ზრუნავს იმისათვის, რომ მის გარშემო იყოს სრული წესრიგი.

ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ საბჭოთა მოქალაქეს, თავისი ხალხის შვილს სწამს და ღრმად აქვს შეგნებული, რომ საერთოსახალხო ქონება ყველა საბჭოთა ადამიანის საკუთრება და სიმდიდრეა, კულტურული, შეგნებული მოქმედება და მოქცევა ცხოვრების სილამაზეა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ყოველდღიურობაში ხშირად ვხვდებით ორგულსაც, უპატიოსნოსაც, უდისციპლინოსაც და მართლწესრიგის დამრღვევსაც. უთუოდ გვყავს ისეთებიც, რომლებიც მრუდე თვალით უყურებენ ყველას და ყველაფერს, არ გააჩნიათ თავიანთი რესპუბლიკით, თავიანთი ხალხით, ერით სიამაყის გრძნობა. იმის მოწმენიც ხომ ხშირად ვართ, როცა ესა თუ ის ბღენძი არღვევს რიგს, უხეშობს, ბილწსიტყვაობს, თავხედობს, უზრდელად ექცევა გამვლელ-გამომვლელს, უადგილო ადგილას ყრის პაპიროსის, ასანთის ნამწვს, აივნიდან ისე გადმოყრის ნაგავს და გადმოდგრის ეუბნეოან წყალს, რომ ძარღვიც კი არ შეუტოკდება. სამაგიეროდ სუფრის თავში რომ წამოიჭიმება, მაღალფარდოვანი სიტყვებით, სამშობლოსა და კაიკაცობის ქებით, ყალბი ენაწყლიანობით ეჭიდავება უანწყებს.

განა ასეთი შეიძლება იყოს შეგნებული და კულტურული ადამიანი? ხალხის, ერის შვილი? აქვს უფლება ასეთს წარმოთქვას სამშობლოს სადღეგრძელო და სახელოვან წინაპართა სახელები მოიშველოს თავისი წარმომავლობის წარმოსაჩენად? არა, ასეთები სამშობლოს მოსიყვარულენი, საკუთარი გარემოს მოამაგენი ნამდვილად რომ ვერ იქნებიან.

ახლახან თბილისში მიმდინარეობდა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ერთთვიური, რომელშიც მილიციის მუშაკებთან ერთად ბევრი რაზმელი მონაწილეობდა. ერთთვიურის შედეგების შეჯამების შემდეგ გამოირკვა, რომ მარტო აგვისტოში ჭუჩაში მოძრაობის წესები 15 ათას თბილისელს დაურღვევია. ეს მხოლოდ ქუჩაში არაასწორად გადასვლათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დარღვევათა გამო მოქალაქეთა მიერ გადახდილი ჯარიმების თანხამ 3000 მანეთს მიაღწია.

ნამდვილად რომ დამფიქრებელი და ყურადსაღები სტატისტიკაა!

პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციამ დედაქალაქის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის ისტორიული მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტსა და მშრომელს. ცხადია, თბილისი რომ სანიმუშო კომუნისტური ქალაქი გახდეს, იგი უნდა გამოირჩეოდეს არა მარტო შრომისადმი ადამიანთა კომუნისტური დამოკიდებულებით, არამედ თითოეული მოქალაქის კომუნისტური ყოფითაც, კულტურისა და შეგნების დონითაც.

ცხადია, სანიმუშოობისათვის საბრძოლო მოწოდება მარტო თბილისსა და თბილისელებს კი არ ეხება, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების, მისწრაფებებისა და მოქმედების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ყველგან უნდა გაჩაღდეს შემოქმედებითი მუშაობა, რომ ვიღვწოდეთ შშობლიურ ქალაქში, სოფელსა თუ დაბაში ნამდვილი კომუნისტური წესრიგისა და წესიერების დასამყარებლად, ჯანსაღი ატმოსფეროს, ნამდვილი პატრიოტული სულისკვეთების შესაქმნელად, რომ სახელმწიფო, სახალხო და საზოგადოებრივი საქმე თითოეულის საპატიო და საყვარელ მოვალეობად იქნეს მიჩნეული.

შრომელთა ფართო მასების გულს ახარებს ის სასიკეთო ძვრები და მიღწევები, რომლებიც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით, ენერგიული შრომითა და ბრძოლით, ჯანსაღი კლიმატის შექმნისათვის მისწრაფებით არის მოპოვებული. მაგრამ ის, რაც ჯერჯერობით გაკეთდა და მოგვარდა, დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია, წინ შემოქმედებითი მუშაობის უზარმაზარი პერსპექტივაა გადაშლილი. სწორედ ამიტომ არის საჭირო ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურობა იმ მძლავრი მაცოცხლებელი დინების კიდევ უფრო გასაძლიერებლად, რომელიც დღეს ასე მძლავრად იგრძნობა ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ დიდ მოძრაობაში კარგ პატრიოტს, ნამდვილ მამულიშვილს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ერის საუკეთესო თვისებების — სტუმართმოყვარეობის, თავმდაბლობის, ამხანაგისა და მეზობლის პატივისცემის, სხვა ხალხთა წარმომადგენლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების, ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოებაში სანიმუშო ქცევის წარმოჩინება უნდა მიაჩნდეს.

ყოველივე ეს კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ხალხის ავტორიტეტს, ზნეობრივი სისპეტაკის კეთილშობილური გრძნობით აღზრდის ახალგაზრდობას.

თუ შენი ხალხისა და ერის ნამდვილი პატრიოტი ხარ, თუ გულით გიყვარს შშობლიური ქალაქი და სოფელი, არა მარტო უნდა სარგებლობდე იმ სიკეთით, რომელსაც ხალხი ქმნის, არამედ სხვებსაც უზიარებდე საკუთარი სულის ნაწილს, ცდილობდე შენი ქცევითა და საქმეებით ასახელო სამშობლო.

გულმართლად ვთქვათ: ჩვენს ირგვლივ ბევრი რამ მიხედვასა და გულისხმიერებას მოითხოვს. ბევრგან მოუვლელია ქუჩა თუ შესახვევი, სახლი, ეზო და, საერთოდ, ის ადგილები, სადაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ხშირად ირღვევა მართლწესრიგი, ეს ხომ თითოეული ჩვენგანის საკვირველია.

აკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა.

ვინც ნამდვილად ფიქრობს და ზრუნავს მომავლის სიკეთისა და სილამაზისათვის, პირად საქმედ უნდა მიიჩნიოს პარტიის ამ მოწოდების შესრულება, ყველაფერი იღონოს ყოველგვარი დანაშაულის, გადაცდომის თუ უწესრიგობის აღსაკვეთად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ მნიშვნელოვან თემას ეძღვნება ჩვენი დღევანდელი გაზეთის სპეციალური გვერდი.

მაშ, განვიმსჯელოთ ამ კეთილშობილური რწმენით, თუ გვინდა, რომ ჭეშმარიტი წვლილი შევიტანოთ ქალაქად და სოფლად სანიმუშო კომუნისტური წესრიგის დამყარებაში.

საქმემ გამოაჩინა

1984 წლის ანგარიშში

ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის წყალქვეშაფრთიანი „კომეტები“ სერავენ მსოფლიოს -მრავალი ქვეყნის ზღვებსა და ოკეანეებს. ისინი დაცურავენ ბულგარეთისა და პოლონეთის, იუგოსლავიისა და მაროკოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბერძნეთისა და თურქეთის ალმებით.

ფოთური კომეტების შექმნაში სხვებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა ქარხნის წარჩინებულ მრანდავს, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის წევრს, საწარმოს დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ყუფარაძეს. იგი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია. მოწინავე წარმოების მუშაკის კალენდარზე 1984 წელია.

აწონ-დაწონა რა თავისი შესაძლებლობანი, მან ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და გადაწყვიტა 1980 წლის დეკემბერში უპატაკოს სამშობლოს ორი პირადი ხუთწლედის შესრულება.

სურათებზე: წყალქვეშაფრთიანი „კომეტა“ მზად არის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნად; ბორის ყუფარაძე.

ი. ბოსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მასწავლებელთათვის „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოსწავლეთა სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ბორისოვს ნიკოლოზ სიმონის ძეს — კუიბიშევის ოლქის ხვოროსტიანკის რაიონის მასლენიკოვსკის საშუალო სკოლის დირექტორს.

ვინგრენეს ევგენია ანტანის ასულს — ლიტვის სსრ ანიკშჩიაის რაიონის ანიკშჩიაის № 2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

კობახიძეს გრიგოლ ბეგლარის-ძეს — ქალაქ თბილისის № 77 საშუალო სკოლის დირექტორს.

სუბოტინას ზინაიდა ალექსის ასულს — კიროვის ოლქის ქალაქ კიროვო-ჩეპეცკის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ტუნტაშევს ნარზის — სამარყანდის ოლქის პასტდარგომის რაიონის № 31 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 17 სექტემბერი.

აჭარის მეჩაიეთა შრომითი გამარჯვება

ბათუმი, 17 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). დღეს აჭარის მეჩაიეებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება, რომელიც ხუთწლედის მეოთხე წლისათვის ჰქონდათ ნაკისრი. სახელმწიფოს მიჰყიდეს 59.616 ტონა ჩაის ნედლეული. ეს 1.343 ტონით მეტია 1978 წელთან შედარებით. ჰექტარობრივმა შოსავლიანობამ შეადგინა 7.974 კილოგრამი — წარშანდელზე 188 კილოგრამით მეტი.

გადაჭარბებით შესრულდა მექანიზებული კრეფის ვალდებულება. „საქართველოს“ მარკის მანქანებით და ხელის აპარატებით მოკრიფეს 9.509 ტონა ნარისხოვანი ფოთოლი, მაშინ როცა ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 9.450 ტონა.

აჭარაში ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა-პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. პალ ლოშონცის

ძვირფასო ამხანაგო პალ ლოშონცი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თქვენ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს, გულითადად გილოცავენ თქვენი სამოცი წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირში მაღალ შეფასებას აძლევენ თქვენს დიდ პირად წვლილს ჩვენი ქვეყნების, პარტიებისა და ხალხების ძმური მეგობრობის ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ლოშონცი, ჯანმრთელობას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ საქმიანობაში უნგრელი ხალხის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ პალ ლოშონცი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი პალ ლოშონცი დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 17 სექტემბერი.

მ. ა. სუსლოვი ბრიანსკში

ბრიანსკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს ბრიანსკისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმობაში.

რაც რეიდმა გამოავლინა

პირუტყვი კი საკვებს ელის

ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენისა და ბოგდანოვკის რაიონებში ხშირი წვიმების გამო ბალახი უხვად არის. ასეთ ვითარებაში აქ დასახლებული რაიონების ხელმძღვანელობა მაქსიმალურ ოპერატიულობას და ორგანიზებულობას იჩენს. სწორედ ამის შედეგია, რომ ამ რაიონებმა გადაჭარბებით შეასრულეს სენაჟის დამზადების დავალება. მოწინავე მეურნეობები წარმატებით ამზადებენ უხეშ საკვებსა და სილოსს.

მაგრამ არის ცალკეული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ხელმძღვანელები ნამჯის, თივის, სილოსისა და ბალახის ფქვილის დამზადების სამუშაოების საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ. ეს პირველ რიგში ითქმის ახალქალაქის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობაზე.

— რას აკეთებთ საკვების მომარაგებისათვის? — ვკითხეთ მეურნეობის დირექტორს გ. მაცუკატოვს.

ჩამორჩენილთა რიგებში როდი ვართ, პირიქით, წელს იმდენ საკვებს ვამზადებთ, რომ წულუკიძის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობასაც ვეხმარებით.

დირექტორის სიტყვა დაადასტურა პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. მიქელაძემ. რეიდის მონაწილეები წავედით იქ, სადაც მიმდინარეობს საკვების დამზადება, და ვნახეთ, რომ მეურნეობის მესვეურების სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

მინდორში დაუწნეხავი ყრია 1.200 ტონაზე მეტი ნამჯა. მავთულის უქონლობის გამო რამდენიმე დღეა უქმად დგას ორი საწნეხი მანქანა. გარდა ამისა, წელს გეგმით 3.200 ტონა სილოსი უნდა დაამზადონ, ფაქტიურად მისი ნახევარიც არ დაუმზადებიათ. რაც გააკეთეს, ისიც უხარისხოა. იქვე კანტრასთან ვნახეთ 500 ტონის ტევადობის სასილოსე ორმო, სადაც 270 ტონამდე ნედლი მასა ჩაუყრიათ და ეს არის და ეს. ტექნოლოგიის ზუსტ დაცვაზე არავის უფიქრია. ჩადებული სილოსისათვის არ გადუფარებიათ ცელოფანის აფსკი და სხვ.

მეურნეობაში, მართალია, შეასრულეს სენაჟის დამზადების გეგმა, მაგრამ ხარისხი? 1.100 ტონამდე სენაჟი დაუქიცმაცებელი მწყვარე მასისაგან დაამზადეს.

შეეხვდით ასეთ ფაქტსაც. ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს 10 სექტემბრის ცნობებში წერია, ოკამის საბჭოთა მეურნეობამ 1.164 ტონა სილოსი დამზადაო. დავინტერესდით და აი, რა აღმოჩნდა: მეურნეობას შემოსავალში მხოლოდ 280 ტონა სილოსი გაუტარებია. ასევე რაიონში აცნობეს, რომ დამზადებულია 3.005 ტონა თივა. სინამდვილეში მეურნეობის შემოსავალში გატარებულია 1.219 ტონა.

რა შეიძლება ითქვას ამაზე? შეცდომაა თუ დაუდგენრობა? არა, აშკარა დანაშაული და სიყალბეა.

ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონებში შარშანდელთან შედარებით წელს მეტი თივა, სილოსი და სენაჟია დამზადებული. მაგრამ აქა-იქ ვხვდებით მეურნეობებს, რომლებშიც ვერ იყენებენ შესაძლებლობებს. ადიგენის რაიონის ენთლის კოლმეურნეობაში სენაჟის დამზადების გეგმას 593 ტონამდე აკლია, სოფელ ლელოვნის კოლმეურნეობაში — 1.000 ტონა.

უფრო მეტიც, სოფელ ენთლის კოლმეურნეობაში 800 ტონა სილოსი უნდა დაამზადონ, სინამდვილეში ამ სამუშაოსათვის სექტემბრის მეორე ნახევრისათვის თავი არ შეუწუხებიათ. მსგავსი მდგომარეობაა ლელოვნის კოლმეურნეობაში, მოხოს და ადიგენის საბჭოთა მეურნეობებში.

როგორც ადიგენს, ისე, ბოგდანოვკის რაიონებში ჩაშლილია ბალახის ფქვილის წარმოების გეგმის შესრულება.

ადიგენის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — გ. გახოკიძე) ფხვნილის დასამზადებელი აგრეგატი ღია ცის ქვეშ აქვთ დამონტაჟებული, 9.140 მანეთის დანადგარები იჟანგება და ფუჭდება. ამ მეურნეობას წელს უნდა დაემზადებინა 300 ტონა ბალახის ფქვილი, ფაქტიურად მხოლოდ 800 კილოგრამი დაამზადეს. დამზადებული 800 კილოგრამი ბალახის ფხვნილი მთლიანად დაიწვა. მეურნეობის ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა ამ ფაქტით.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობაში სენაჟის აღების წინ არ განუსაზღვრავთ მწვანე მასის ტენიანობა. 800 ტონა სენაჟი ჩადებულია მოუპირკეთებელ ორმოში, ზემოდან არა აქვს გადაფარებული პოლიეთილენის აფსკი. აქ 26 ადამიანისტოს დაამთავრეს ბუნებრივი თივის აღება, დაზვინული 150 ტონამდე თივა შემოსავალში არ უჩვენეს.

მინაძის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უდიდესია ახალციხის რაიონში. აქ არის ყველა შესაძლებლობა პირუტყვს დაუმზადონ საჭირო რაოდენობაზე მეტი სილოსი, თივა და სხვა საკვები. ამ შესაძლებლობას იყენებენ? არა! გეგმით გათვალისწინებული 500 ტონის ნაცვლად დამზადებულია მხოლოდ 70 ტონა სილოსი. ასევე გეგმასთან შედარებით მცირე რაოდენობითა აქვთ მომარაგებული თივა. წელს პორეულის მოსავალი ურიგო არ იყო, ამიტომ ნამჯაც ბლომად აქვთ, მაგრამ სამწუხაროდ დაბინავებას აყოვნებენ, ტონობით ნამჯა მინდორში ყრია.

— რა ვქნათ, მავთული არ გვაქვს, — გულდამშვიდებით აცხადებს მეურნეობის დირექტორი ს. ზაზაშვილი.

მეურნეობამ სასილოსედ დათესა სიმინდი, მოსავალიც ურიგო არ არის. მაგრამ რა გააკეთეს? ნაწილი სიმინდი პირუტყვისათვის. მწვანე საკვებად გამოიყენეს. ეს მაშინ, როდესაც იქვე გზისპირა სათიბებში ბლომად არის მწვანე ბალახი. და ეს ხდება მაშინ, როდესაც სილოსის დამზადების გეგმა 20 პროცენტითაც არა აქვთ შესრულებული. სილოსის ასაღები კომბაინი ცდება. ანდა, რა უნდა მოეთხოვოს

ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და ბოგდანოვკის რაიონებში საკვების მომარაგების ტემპი უნდა გაძლიერდეს!

მეურნეობის დირექტორს და პარტიული კომიტეტის მდივანს ტ. გოგოლაძეს, მთავარ აგრონომს ზ. ქეშიშვილს, როცა ზოგან ჯერ კიდევ სასილოსე ორმო მზად არა აქვთ.

მეურნეობაში აქვთ საუკეთესო ხარისხის თივა, მაგრამ მის დროულ დაბინავებას ვერ ახერხებენ, ტრანსპორტი არ ჰყოფნით. სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ხშირად უმოქმედოდ დგას სატვირთო ავტომანქანები. „სოფსახკომსოფტექნიკის“ ახალციხის რაიონული განყოფილებიდან (მმართველი — ს. თათიშვილი) ხშირად იღებენ უხარისხო სათადარიგო ნაწილებს. მაგალითად, ამ დღეებში მიიღეს მანქანის 3 ცალი წინა ხიდი, რომლებიც უვარგისი იყო. მეურნეობის მესვეურები თავს იმართლებენ, რა ვქნათ, უტრანსპორტობის, უმავთულობისა და სხვა მიზეზით შეფიქრხება გვაქვსო.

ეს რომ მართალი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მისი მეზობელი სოფლის მუსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ამ საქმეში წარმატებები აქვს. აქ მინდვრის სამუშაოებს ოპერატიულად ხელმძღვანელობს თავმჯდომარე რ. სულაძე. შედეგიც ჩანებულია. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სენაჟისა და სილოსის დამზადების გეგმა-ვალდებულება. ამ დღეებში დაამთავრებენ ნამჯის დაბინავებას. მეწველი პირუტყვი უზრუნველყოფილია მწვანე საკვებით. აი შედეგიც: შარშანდელთან შედარებით წარმოებულია 1.128 ცენტნერით მეტი რძე. ასევე კარგად მუშაობენ ვალეს, ანის, სვირისა და სხვა კოლმეურნეობებში, ახალციხის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმში.

— წელს ბუნებრივი ბალახი 6.680 ჰექტარის ნაცვლად გათიბულია 6.718 ჰექტარი. სვირის საბჭოთა მეურნეობაში 250 ტონამდე ბალაში გაითიბა ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს წინათ ფეხი არ დაუკარებია. გეგმაზე მეტი დამზადდა სენაჟი. მალე სილოსის დამზადებას დავამთავრებთ. საკვების სიუხვე გამოწვეულია იმითაც, რომ 1.515 ჰექტარი სათიბ-საძოვრებში შეიტანეთ მინერალური სასუქი. ახლა კოლმეურნეებთან ერთად მუშა-მოსამსახურეებიც ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ გეგმაზე მეტი დამზადდეს ნამჯა, სილოსი, ბალახის ფქვილი და სხვა საკვები. გარდა ამისა, სხვა რაიონებს უნდა გადავწყვიტოთ, მეზობლებს ველი, გვეთხოვა ახალციხეს ქომაარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჯაიამ.

როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონებში ნამჯისა და თივის დამზადება-დაბინავების საქმეში არის შეფერხებები. მაგალითად, ახალციხის რაიონში მთებზე 6.000 ტონა გათიბული ბალახის გადმოზიდვა ფერხდება ტრანსპორტის და მავთულის უქონლობის გამო, მინდორშია დიდძალი ნამჯა, რომლის დაბინავებას ვერ ახერხებენ. ახალქალაქის რაიონის მინდვრებში 10.000 ტონამდე ნამჯაა, ცდება საწნეხი მანქანები. დასახლებულ რაიონებში ზამთარი ადრე იწყება, და თუ ასე გაგრძელდა, ცხადია, წყალში ჩაიყრება მშრომელთა ამდენი ამაგი.

ვინ არ იცის, რომ წინასწარ შემზადებული საკვები დიდად ზრდის პირუტყვის პროდუქტიულობას. ახალქალაქის რაიონის ოკამის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ 1975 წელს დაიწყო საკვები საამქროს აგება. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილმრეწვმშენი“ მესამე ტრესტმა კედლები ამოიყვანა, შენობა გადაიხურა. შემდეგ გაახსენდათ, რომ საჭირო იყო დანადგარების დადგმა. დანადგარებიც მოიტანეს, მაგრამ გამართვა დღემდე ვერ მოახერხეს და ათასობით მანეთის მოწყობილობა 4 წელზე მეტია ღია ცისქვეშ ყრია, იჟანგება და მწყობრიდან გამოდის. და ამას ყოველდღე გულდამშვიდებით შესცქერიან მეურნეობის ხელმძღვანელები. რა იქნებოდა, რომ დანადგარები მაინც გადაეხურათ?

ასეთივე საამქროები 1975 წლიდან შენდება სულდისა და იხტილის საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ ვერ იქნა და დღემდე ვერ გადასცეს საექსპლოატაციოდ. პარტიის ახალქალაქის რაიკომმა აღნიშნულ საკითხზე წერილობით არაერთხელ მიმართა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მაგრამ ამაოდ. მიმოწერამ საქმეს ვერ უშველა. საინტერესოა, როგორ გაგრძელდება ასე? სიტყვა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. ნ. მეძმარიაშვილს ეკუთვნის.

ერთი ფაქტიც: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წელს ახალციხისა, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ადიგენის რაიონებში უხვად არის პირუტყვის საკვები, მათ შეუძლიათ სხვა რაიონებსაც დაეხმარონ. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ ზემდგომი ორგანოები, როცა ახალქალაქის რაიონს დაევალა წყლიანიძის, ვანისა და სხვა რაიონებს სახელმწიფო ფასებში მიჰყიდოს 6.000 ტონა ნამჯა. წულუკიძის რაიონიდან დროულად მოვიდნენ ნამჯის წასაღებად, წინასწარ გადაურიცხეს საჭირო თანხა. ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. ეპიფიანის განაწერილით ნამჯის მისაღებად მივიდნენ ოკამის საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ ფასზე ვერ მორიგდნენ.

რეიდის მონაწილეები ადგილზე შეეხვდით მეორედ ჩამოსულ წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ბ. ფაილოძეს. აქვე იყვნენ წულუკიძის სამი კოლმეურნეობის თავმჯდომარენი. ნამჯის ფასზე დავაში ისინი ახალქალაქში 3 დღეს დაყოვნდნენ. შემდეგ როგორც იქნა შეთანხმდნენ, მაგრამ ვაი ასეთ შეთანხმებას. ტონა ნამჯაში 60 მანეთს ახდევინებენ. ასევე სოფელ ხანდოს კოლმეურნეობაში ჩამოსულო ლუშეთის რაიონის წარმომადგენელს ტონა ნამჯა 100 მანეთი დაუფასეს. მსგავსი ფაქტებია ადიგენისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფასი 26 მანეთია.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის მესვეურებს ნამჯა სასპეკულაციოდ დადაუქცევიათ. ეს არის მეგობრული დახმარება?

დრო არ ითმენს. საჭიროა მეტი ორგანიზებულობა. გავაძლიეროთ პირუტყვისათვის საკვების დამზადების ტემპი; აქედანვე მკაცრი ზომები მივიღოთ იმ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც დანაშაულს სჩადიან თივის, ნამჯის, სილოსისა და სენაჟის დამზადების საქმეში.

რეიდის მონაწილენი: ვ. ელიავა — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი; ბ. აბრამიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებმოპოვების მთავარი სამმართველოს უფროსი აგრონომი; ვ. ჯოფუა, ზ. მაისურაძე — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

რთველი — 79

ყურძენი — მარნებში

„სამტრესტის“ ცნობით, 17 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1979 წლის გეგმა		16 სექტემბრის მოკრეფილი		სულ მოკრეფილი	
გურჯაანის	109.800		3.259		36.586	
სიღნაღის	40.000		1.954		21.452	
წითელწყაროს	30.300		928		16.014	
თელავის	67.000		1.514		8.569	
ყვარლის	52.500		942		12.502	
ახმეტის	36.500		78		156	
ლაგოდეხის	10.800		340		1.728	
საგარეჯოს	24.000		238		1.647	
გარდაბნის	10.700		33		317	
მარნეულის	20.000		502		6.649	
ბოლნისის	12.800		446		939	
მაიაკოვსკის	16.000		20		393	
ბაღდათის	16.300		31		405	
სულ რესპუბლიკაში	575.000		10.302		107.769	

შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო 14.171 ტონა.

შ

მეტი ყურადღება მეცხოველეობის კომპლექსებს

თათბირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე (1975 წლის სექტემბერი) დასახული ჩვენი რესპუბლიკის მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეთმობა მეცხოველეობის კომპლექსებს — ამ სრულიად ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. მეცხოველეობის ყველა დარგის განლაგების, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის პლენუმის მიერ შემუშავებული ღონისძიებების განსახორციელებად გაწეული მუშაობის შედეგები, ამ საქმეში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანების „ცხოველმრეწვის“ როლისა და ფუნქციების გადიდება მოწმობს დასახული პროგრამის სისწორეს, რეალობასა და თანადროულობას.

მეცხოველეობის კომპლექსები მეცხოველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის, საქართველოს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევის ამოცანათა გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი რგოლი გახდა.

ამჟამად რესპუბლიკაში 30-ზე მეტი ასეთი საწარმოა. მთელი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების შემდეგ ისინი დაამზადებენ 50 ათას ტონაზე მეტ რძეს, დაახლოებით 14 ათას ტონა ხორცს, ყოველწლიურად გაყიდიან 2300 სულ მოზარდფოლს.

ბევრი მეცხოველეობის კომპლექსი, როგორიც არის კრწანისის, გიორგიწმინდის მეღორეობის, მუღანლოს, გაგრის მერძევეობის კომპლექსები გეგმაზომიერად ითვისებენ საწარმოო სიმძლავრეებს და ამზადებენ დიდძალ მეცხოველეობის პროდუქტებს.

ამავე დროს მეცხოველეობის კომპლექსების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანება და ხარვეზია. სწორედ მათ და მათი გადალახვის გზებს მიაპყრო ყურადღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში 15 სექტემბერს გამართულმა თათბირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსები, მეცხოველეობის კომპლექსების ხელმძღვანელები.

თათბირზე მოისმინეს მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანების „ცხოველმრეწვის“ უფროსის ჯ. ჩხაიძის მოხსენება რესპუბლიკის მეცხოველეობის კომპლექსების მუშაობის შესახებ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები: წოთელწყაროსი — ი. ფიროსმანაშვილი, გალისა — ნ. თოდუა, ყვარლისა — რ. სესიაშვილი, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსები, მეცხოველეობის კომპლექსების დირექტორები და სხვები.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჭითანავამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკა მეცხოველეობის კომპლექსების სიმძლავრეთა ამოქმედებაში ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. კერძოდ, მერძევეობის სახელმწიფო კომპლექსების სიმძლავრეები ათვისებულია მხოლოდ 42 პროცენტით, სამეურნეობათაშორისო კომპლექსებისა — 44 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პიროტყვის სასუქებელი სახელმწიფო კომპლექსებისა — 92,5 პროცენტით, სამეურნეობათაშორისო კომპლექსებისა — 81 პროცენტით და ა. შ. კომპლექსებში დიდია ძროხების სიბერწე, არ არის საკმარისი წველადობა, ჩასაბარებელი პირუტყვის წონა.

ამოფხეჭილი არ არის შეცდომები, რომლებიც დაშვებულია კომპლექსების დაპროექტებისას. მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა, კერძოდ სასოფლო მშენებლობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, „კავშირგაბმულობის, საავტომობილო გზებისა და ავტოტრანსპორტის სამინისტროებმა, საქსახსოფლტექნიკამ, საქმთავარნერგომ, საქმთავარწყალმშენმა, მთავარგაზმა, რომლებსაც სადირექტივო ორგანოებმა დაავალეს კომპლექსების მშენებლობა, მოწყობილობის დამონტაჟება, გამართვა, ელექტროენერგიით, წყლით მომარაგება და სხვა ღონისძიებანი, არ შეასრულეს თავიანთი სამუშაო.

სათანადო ღონეზე არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მითითება იმის შესახებ, რომ მეცხოველეობის განვითარების თავდადათავი საკვები ბაზა. კვლავ გრძელდება ძველი შეცდომები, კერძოდ, დიდი სპეციალიზებული კომპლექსების მშენებლობისას ზნირად არ წარმოეს საკვები რესურსების რეალური აღრიცხვა, რაც მკვეთრად აქვეითებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას.

არარაციონალურად იყენებენ კომპლექსების განკარგულებაში არსებულ სამეურეებსა და სათიბებს. მთელ რიგ კომპლექსებში ისინი მიგდებულია და მათი პროდუქტიულობა სულ უფრო მცირდება. თათბირმა შესაბამის ხელმძღვანელებს მოსთხოვა უფრო ყაირათიანად გამოიყენონ ეს სამიდიდრე.

უნდა მივაღწიოთ, ითქვა თათბირზე, რომ ყველა კომპლექსი უზრუნველყოფდეს თავის თავს საკუთარი წარმოების საკვებით, მაქსიმალურად და რაციონალურად იყენებდეს ამისათვის საკვების ასაღებ მანქანებს, ტრანსპორტის საშუალებებს, სხვა ტექნიკას, სარწყავ სისტემას. რენტაბელობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია კომპლექსების უზრუნველყოფა საკუთარი პროდუქტიული პირუტყვით.

მეცხოველეობის კომპლექსები ძირითადად სწორად არის დაკომპლექტებული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა კადრებით, მაგრამ დამაკმაყოფილებელი არ არის მდგომარეობა საშუალო რგოლის სპეციალისტთა მუშაობაში ჩაბმის მხრივ. ტექნიკუმისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი არ მიდის მეცხოველეობის კომპლექსებში და ურჩევნია იმუშაოს სხვაგან, სადაც მისთვის შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების უკეთესი პირობებია შექმნილი.

მეცხოველეობის კომპლექსების საქმიანობის ეს და სხვა ნაკლოვანებანი, აღინიშნა თათბირზე, იმის შედეგია, რომ რაიაღმასკომების მევეი თავმჯდომარე, რაიონული სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების უფროსები სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმეს, თავის ნებაზე მიუშვეს ყველფერი და ნაკლებად იცნობენ კომპლექსებში შექმნილ ვითარებას.

თათბირზე აღიძრა საკითხი, რომ გორისა და თელავის კომპლექსების ბაზაზე შეიქმნას სასწავლო-საწარმოო ცენტრები, სადაც პრაქტიკას გაივლიან ახალგაზრდა სპეციალისტები.

თათბირმა განსაზღვრა მეცხოველეობის კომპლექსების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი.

(საქინფორმი).

სალამო ხანია, ბინდდ ე ბ ა. ჩამავალი მზის სხივებს წითლად აუელვარებია ქათქათა თეთნულდის წვერი. სასტუმრო „თეთნულდის“ აივანზე, საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება, სამნი ვსხედვართ. აქ არიან პირველი მესტიელი სოციალისტური შრომის გმირი (მას ეს სპპტიო წოდება შარშან მიენიჭა), რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ეკიმი ლუბა ნიკარაძე და პარტიის მესტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი (ამჟამად თბილისს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე) ბორის სარალიძე, შვებულებით რომ ჩამოსულა ახლა უკვე თავისი მშობლიური ზესტაფონეთივი საყვარელ (ასე ამბობს თვითონ) ამ რაიონში.

ირგვლივ საოცარი სიწყნარეა. მხოლოდ მშფოთვარე მულხურის ხმაური არღვევს სიმყუდროვეს. მალე სულ მთლად ჩამობნელდა და მრუმე ღამეში პროჟექტორებით განათებული სვანური კოშკები ზღაპრული გოლიათებივით წამომართნენ დაბის ცენტრში.

— რა საოცრად შეიცვალა ყველაფერი მესტიაში. ამ ექვსშვიდი წლის წინათ ელექტროდენს კოშკების გასანათებლად გავიმეტებდით კი არა, ოპერაციებსაც ძალიან ზზრად სანთლისა და ლამფის შუქზე ვაკეთებდითო, — წყნარად ჩაილაპარაკა ლუბა ნიკარაძემ.

ამ ექვსიოდე წლის წინათ... ჩაფიქრებული ბორის სარალიძე მდუმარედ გაჰყურებს ულამაზეს სანახებს და კიდევ ერთხელ იხსენებს 1973 წლის სექტემბრის მიწურულს, როდესაც პირველად ჩამოვიდა მესტიაში...

პირველ ორ დღეს გაბრუებულივით იყო, მერე თანდათან გამოერკვა. რაიონის ეკონომიკას გაეცნო, აქტივისტებს ესაუბრა. ერთობ სავალალო სურათი გამოიკვეთა. სუსტი იყო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა, ყოველგვარი კონტროლი, ერთსულოვნება, მონოლითურობა აკლდა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივს...

ყოველივე ამან რაიონის ეკონომიკას შესამჩნევი დაღი დასვა. ძალიან სუსტი იყო სოფლის მეურნეობა, ყოველწლიურად მცირდებოდა საქონლის სულადობა, წველადობა, საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, კოლმეურნეობათა უმეტესობას დიდძალი ვალი აწვა ტვირთად. ყურადღება არ ექცეოდა კაპიტალურ მშენებლობას (1974 წლამდე მესტიაში საერთოდ არ არსებობდა სრულყოფილი, ტექნიკურად აღჭურვილი სამშენებლო ორგანიზაცია), ბოლო 10-12 წლის განმავლობაში რაიონში არ აშენებულიყო არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაგებობა. დაბის ცენტრში არ იყო კინოთეატრი, საზოგადოებრივი კვების კეთილმოწყობილი ობიექტი, 1968 წელს დაწყებული ახალი სასტუმროს მთელი სამშენებლო სამუშაოები 1974 წლამდე მარტო საძირკვლის ჩაყრით ამოწურა, საძირკველს ვერც 1971 წელს დაწყებული მესტიის მეორე საშუალო სკოლის შენობა ასცილდა. ასეთივე მდგომარეობა იყო რაიონის სხვა ობიექტების მშენებლობისა და დაბის კეთილმოწყობის საქმეშიც...

მთავარი კი მაინც გზა იყო, სვანების საუკუნო ოცნება — ბართან მკვიდრად დამაკავშირებელი სამანქანო გზა. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში გაჟვანილი ჯვარ-მესტიის გზის გაფართოების სამუშაოები 1962 წელს დაიწყო. დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ მეტად ნაადრევი გამოდგა. მესტიელთა სიხარული — საქმის ბოლომდე მიყვანისათვის ფიქრით არც სათანადო ზემდგომ ორგანოებს უთენებიათ ღამეები და არც პარტიის მესტიის რაიკომს (1962 წლიდან 1973 წლამდე რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს არც ერთხელ არ უმსჯელიათ ამ საკითხზე). თანდათანობით ნელდებოდა მშენებლობის ტემპი, ყოველდღიურად იკრიცებოდა ცარიელი დაპირებებით გულგატეხილ ადამიანთა იმედები და პარალელურად, ამ გზის პირას, აქ დაღუპულ მძღოლთა და მგზავრთა ხსოვნის აღსანიშნავად, თითქმის ყოველ 600-700 მეტრზე, სოკოებივით მრავლდებოდა მათი ფოტოსურათებიანი რკინისა და ხის დაფები...

... და როდესაც რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს უახლოესი მომავლის გეგმები გააცნო, გასაკვირველ-მოსაგვარებელზე ესაუბრა, ბევრმა ეს საქმე უტოპიად მიიჩნია, — „ჩვენებურებს არ ავუშენებივართ და ეს უცხო კაცი დაგვასახლებსო?“, სხვებმა ხელი ჩაიქნიეს — „მაგას მესტია ზესტაფონი ხომ არ ჰგონია, წელიწადის ნებისმიერ დროს რომ შეიძლებოდეს შენება, აქ შვიდი რვა თვის განმავლობაში თოვლიაო“.

მხოლოდ კონკრეტული საქმე თუ ამოძირკვადა ამ ეჭვსა და უნდობლობას. უპირველესად დენი იყო საჭირო. დაუყოვნებლივ შემოიტანეს და დაბის ცენტრში, ავრეთვე ხაიშის, ჭუბერის, უშგულის სასოფლო საბჭოებში, იფარში, ქვემო იფარში, ნაკრასა და სხვა სოფლებში დაამონტაჟეს მძლავრი დიზელ-გენერატორები, აღადგინეს პატარა ჰიდროელექტროსადგურები... თუ მანამდე მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტს ჰქონდა განათება (ისიც საღამობით), 1974 წლის 1 იანვრისათვის ეს ციფრი 80 პროცენტამდე გაიზარდა. პარალელურად დაიწყო „საქენერგოს“ სისტემაში რაიონის ჩართვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები... მალე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებით ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები. კოლმეურნეებს 10-11 წლის ნამუშევარი აუნაზღაურდათ. სიხარულის ცრემლები მოადგა თვალთ პენსიონერ ვალო გულბანს, მთელი 10 წლის ნამუშევარი რომ მიუთვალეს...

დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ რაიონის ცხოვრებაში ძირეული სასიკეთო ცვლილებები მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის აგვისტოში მიიღეს დადგენილება მესტიის შემდგომი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მალე პარტიის რაიკომის, სოციალურმა პლენუმმა განიხილა ეს დადგენილება და მისი უოფა განხორციელების ღონისძიებებიც დასახა. განსაკუთრებული ურადღება დაეთმო პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლის-უნარიანობისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას. უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში და მნიშვნელოვან უბნებზე გაიზარდა კომუნისტთა რიცხვი. დაიხვეწა კადრებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. ხელმძღვანელ სამუშაოზე გაბედულად დაანინაურეს ბევრი ენერგიული და საქმის მცოდნე ახალგაზრდა.

სასიკეთო გარდაქმნები მოხდა ყველა სფეროში. სწრაფი ტემპით დაიწყო კაპიტალური მშენებლობაში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრა. ამ მიზნით შეიქმნა მძლავრ-მექანიზებული სამშენებლო რაზმი, გაუმჯობესდა მესტიის სარემონტო-სამშენებლო კომბინატის ტექნიკური მდგომარეობა. ოთხ თვეში დამთავრდა მესტიის მეორე საშუალო სკოლის მშენებლობა, შემდეგ საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმრო „თეთნულდი“, რესტორანი „ლილე“, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ბანაო, ავტოპროფილაქტორიუმი, ბენზინგასაწყობი სადგური, კინოთეატრი, რვაწლიანი სკოლები, სამბავშვო ბაღები, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი, მწვერვალ უშბიდან ლიზბირის ხეობით შემოიყვანეს 9-კილომეტრიანი წყალსადენი და ა. შ. 1974-1975 წლებში კაპიტალური მშენებლობის საქმეში გაცილებით მეტი რამ გაკეთდა, ვიდრე წინა 20-25 წლის განმავლობაში...

ნათქვამია, ას კარგ სიტყვას ერთი კარგი საქმე სჯობიაო. კარგი საქმეები კი თითქმის ყოველდღიურად კეთდებოდა მესტიაში. სწორედ ამიტომ ირწმუნეს მესტიელებმა მართალი სიტყვა, მუდამ კონკრეტული საქმე რომ მოსდევდა. და ყოველმა ოჯახმა პარტიის რაიკომის პირველი მოწოდებისთანავე იკისრა სოციალისტური ვალდებულება—საკუთარი წვლილი შეეტანა რაიონის წინსვლაში. (მათ „მაშველი ძალებიც“ ჩამოუვიდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონიდან: მესტიაში ოჯახებიდან დაბრუნდნენ საცხოვრებლად ელმასორ ჯაფარიძე, რევაზ კახიანი, თემურ ზურგიანი, რევაზ კახიანი, კარლო ქოჩქიანი... სულ ოცდაათამდე ოჯახი, რომელებსაც მიტოვებული ჰქონდათ მამა-პაპეული ჭერა. — ჩემს მშობლიურ რაიონში ამდენი სასიკეთო ცვლილება ხდებოდა და მე თბილისში რა გამაჩერებდაო, მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა, რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს მესტიის № 5 საგზაო უბნის უფროსმა კახაბერ კვიციანმა). იკისრა და შეასრულა კიდეც პირობა — ყველა უბანზე თავდადებით შრომობდნენ მესტიელები.

ერთი ასეთი ფაქტი: სატელევიზიო-სარელეო ხაზის მშენებლობის დასკვნითს ეტაპზეა გადა ცნობილი, რომ პროექტში დაშვებული უზუსტობის გამო ერთ-ერთი მიმღებ-გადამცემი სადგური კალაში კი არა (იგი 1700 მეტრზეა ზღვის დონიდან), არამედ ჩხუტნიერის მიუვალ მთაზე უნდა დაედგათ (3500 მეტრი ზღვის დონიდან). ამ მშენებლობის შეფობა მესტიელმა ახალგაზრდებმა იკისრეს. ისინი იღებდნენ კუთვნილ თუ უხელფასო შვებულებას და. სამშენებლო რაზმში ჩარიცხვას ითხოვდნენ. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ კომკავშირული კრებები აძლევდნენ რეკომენდაციებს ყველაზე მოწინავეებს. ყოველგვარ ამინდში განუწყვეტლივ მუშაობდნენ. მონუცებიც, 80 წლის ვალაქტიონ მარგველანი და მისი ტოლებიც კი გამოდიოდნენ სამუშაოდ. თვეზახევარში გაიყვანეს 15-კილომეტრიანი სამანქანო გზა ჩხუტნიერამდე. ასევე იყო ყველა უბანზე. სწორედ ამიტომ ურთულეს ბუნებრივ-რელიეფურ პირობებში საოცრად მცირე დრო — მხოლოდ ხუთი თვე დასჭირდა სატელევიზიო-სარელეო ხაზის მშენებლობას. ზუსტად იმავე ვადაში, უაღრესად არახელსაყრელ პირობებში (ისედაც ვიწრო სამანქანო გზაზე ერთდროულად მიმდინარეობდა გზის გაფართოების, ელექტრონგადამცემი ხაზისათვის არაგაბარიტული ლითონკონსტრუქციების შემოტანისა და დამონტაჟების სამუშაოებიც) დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაც.

— გასაოცარი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მშრომელებმა ნახეს, რომ ხელმძღვანელთა ყველ სიტყვას კონკრეტული საქმე მოსდევდა, ირწმუნეს მათი და თვითონაც არაფერი დაიშურეს, — მითხრა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული სამშენებლო რაზმის ხელმძღვანელმა, ტურისტული ბაზის „უშბის“ დირექტორმა ნ. გვარლიანმა.

1975 წლის 7 ნოემბრისათვის ტელეეკრანები აციმციმდა მესტიაში. ახლა სამანქანო გზაზეც შეიძლებოდა ფიქრი...

გზის მშენებლობა კი უკვე დაწყებული იყო. ჯერ კიდევ 1975 წლის მაისში პარტიის რაიკომის პლენუმმა დაამტკიცა მშენებლობის ოპერატიული გეგმა-ღონისძიება. მისი განხორციელებისა და სისტემატიური ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რაიონული

პარტიული ცხოვრება: კადრები — კომპეტენტურობა, ერთგულება, პასუხისმგებლობა

შტაბი. 1977 წელს აღსრულდა ავაურ მკვიდრთა საუკუნო ოცნება — დამთავრდა ჯვარ-მესტიის 112-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა.

— ნუთუ ასფალტი მართლა არ აიყრება და გზა არ გაფუჭდებაო, გახარებულნი ხელჯოხებით „ამოწმეშენენ“ გზის სიმკვიდრეს 1921 წლიდან სკკპ წევრი, პერსონალური პენსიონერი გიორგი ნაგერიანი და მისი 40 თანატოლი, რომლებსაც ახალი გზა პირველებს დაათვალიერებინეს სპეციალური ავტობუსით.

...მიხეილ აფრასიძე მესტიაში, სოფელ ფარშში დაბადებული (ამჟამად ზუგდიდში ცხოვრობს), 42 წლის მიხეილს უბედური შემთხვევის გამო 24 წელია წართმეული აქვს მოძრაობის უნარი. ახლა ძმას პირველად ამოეყვანა მესტიაში „ეიგულით“. იგი სოფელ მაზერის ერთ-ერთ ულამაზეს ხეობაში — შიხრაში ვნახეთ, როდესაც იქ მშენებარე პიონერთა ბანაკს ვათვალიერებდით.

— ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ბედნიერებაა ჩემთვის მშობლური რაიონში ამოსვლა. ადრეც მინდოდა, მაგრამ იმ ოღროჩოღრო გზაზე მე კი არა, ჯანმრთელიც უჭირდა სიარული.

მესტიელთა აღმშენებლობითი, შემოქმედებითი შრომა გრძელდება. საღამოს 10 საათია. მდინარე მულხურის ნაპირზე, სადაც მესტიელმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა უსასყიდლოდ აშენეს „კლდის ვეფხის“ მიხეილ ხერგიანის სახელობის

გზა ადამიანთა გულისკენ

ახალგაზრდული კლუბი „ბეთქილა“, ხალხმრავლობაა. მეორე დღეს აქ მიხეილის ხსოვნის აღსანიშნავად „მიშაობა“ უნდა გამართულიყო და ახალგაზრდები ელექტრონის შუქზე ალამაზებდნენ შენობის შემოგარენს. აქვე იყვნენ რაიონის ხელმძღვანელებიც.

— რაიონის წინაშე ახლა მეტად სერიოზული ამოცანები დგას, — ამბობს პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ს. კარტოზია, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სამთო მეცხოველეობის განვითარებას. ამ მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პარტიის რაიკომმა შეიმუშავა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, მისი პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებები. თითოეული ფურის საშუალო წველადობა წლეულსვე 100 ლიტრით უნდა გავზარდოთ, ორ-სამ წელიწადში კი 1400 ლიტრამდე ავიყვანოთ ეს მაჩვენებელი. ამავე პერიოდში დღეკვნინდელი 220-დან 300 კილოგრამამდე უნდა გავზარდოთ სახორცე პირუტყვის საშუალო წონა. ამისათვის უნდა გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, მისი მოვლა-პატრონობა, შეიქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. მომავალ წელს რაიონში პირველად უნდა დავთესოთ სასილოსე კულტურები. ვაპირებთ მთის სათიბების ათვისებასა-გაკულტურულებას, ამ მხრივ უფრო ქმედითად უნდა დაგვეხმაროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც სათიბებამდე 45-50 კილომეტრი სამანქანო გზა უნდა გაეყვანა, მაგრამ დღეისათვის მხოლოდ 16 კილომეტრია გაყვანილი. მანვე უნდა დაგეგმოს და დაადგინასოს საბაგირო გზების მშენებლობა თვითონ ტრანსპორტირებისათვის.

ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონში უნდა აშენდეს 500-ადგილიანი კულტურის სახლი, 120-ადგილიანი რაიონული საავადმყოფო, ეთნოგრაფიული მუზეუმი, სპორტული დარბაზი, საშუალო და რვაწლიანი სკოლები, ახალი პურსაცხობი და ბოსტნეულის შესანახი მაცივარი, დამთავრდება წყალსადენის, კავშირგაბმულობის სახლის და სამი საცხოვრებელი სახლის მშენებლობები. ამჟამად მიმდინარეობს ტელესადგურის რეკონსტრუქცია. დიდ ყურადღებას დაუთმობთ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

გასაკეთებელი და მოსაგვარებელი მართლაც ბევრი გვაქვს. უნზოობა აწუხებთ უშგულელებს. ლატალელებს, ჭუბერელებს. ერთი სიტყვით, პრობლემები საკმაოდაა, მაგრამ ის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ჩვენს რაიონს უწევენ და აქაური მშრომელთა შემართება გვაძლევს გარანტიას ვთქვათ, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი მოგვარდება, უფრო განახლდება, ლამაზი და მიმზიდველი გახდება მესტია.

...მოდიოდი ცაადაწვდილ მწვერვალთა და ამ მწვერვალებიდან სპეტაკ ადამიანთა — განახლებული სვანეთის მესაძირკვლეთა საუფლოდან და, უნებლიედ 74 წლის იოსებ ვიბლიანის სიტყვები გამახსენდა: „ჩვენი ვალიაის გაზეთს (რაიონული გაზეთის რედაქტორი ვ. საღლიანი) ახლა ნამდვილად სამართლიანად ჰქვია „ახალი სვანეთი“.

შენი გამარჯვებისა იყოს, განახლებული და აღმავალო სვანეთო!

რ. რუსია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
მესტია-თბილისი.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინის ჯუერნალზე

მოლაპარაკება დამთავრდა

ადის-აბება. მოლაპარაკება დამთავრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა დაადასტურეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის ურთიერთობა. გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება განამტკიცონ და გაიფართოონ საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელიც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს.

ა. ნ. კოსიგინი ეთიოპიიდან გამოემგზავრა

□

მხარეებმა მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად შეათანხმეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ერთობლივი კომუნიკე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

ამავე დღეს ეროვნულ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო მთავრობის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის 1978 წლის 19 სექტემბრის შეთანხმების ოქმს, სხვა ეკონომიკურ შეთანხმებებს.

ოქმს ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა;

სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო მთავრობის დავალებით — დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრმა ენდალე ტესემამ.

დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიის დამთავრების შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა მენგისტუ ჰაილე მარიამს გადასცა საბჭოთა მთავრობის საჩუქარი — მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

ამავე დღეს ეთიოპია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და სოლიდარობის კომიტეტს საჩუქრად გადაეცა ქანდაკება „ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე“.

ადის-აბება, 17 სექტემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო, ეთიოპიის დედაქალაქიდან გამოემგზავრა. საბჭოთა მთავრობის მეთაური გამოაცილეს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ადენი, 17 სექტემბერი. ა. ნ. კოსიგინი ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, აეროპორტში მას დახვდნენ იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მოადგილე, პრემიერ-მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი და რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

გმოგზენ პეკინის ავანტიურიზმს

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გმობს პეკინის მმართველი წრეების ავანტიურისტულ კურსს, რომლებიც ახალ შეიარაღებულ თავდასხმას უპირებენ ვიეტნამს. საზოგადოებრიობა მხარს უჭერს ვიეტნამელ ხალხს და ინდოჩინეთის სხვა ხალხებს, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებლობას იცავენ ჩინელი ექსპანსიონისტების ხრიკებისაგან.

სოფია. ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ ვერავითარი უხეში ზემოქმედება და შანტაჟი ვერ აიძულებს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას გადაუხვიოს სოციალისტური განვითარების გზას, რომელიც მან აირჩია, წერს ბულგარეთის ყოველკვირეული „ანტენი“.

გმირ ვიეტნამელ ხალხს ჰყავს მძლავრი და ძლიერი მეგობარი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების სახით. დიდია ვიეტნამის ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს პროგრესულ დემოკრატიულ საზოგადოებრიობაში, მიუხედავად ოპოზიციისა. სრულიად უეჭველია, რომ ვიეტნამის საწინააღმდეგო ყველა კამპანია და პროვოკაცია სრული მარცხით დამთავრდება, ხაზს უსვამს ყოველკვირეული.

სან-ფრანცისკო. ჩინეთის ხელმძღვანელობა სულ უფრო აქტიურად ემზადება ვიეტნამზე ახალი თავდასხმისათვის, აღნიშნავს გაზეთი „პიპლზ უორლდი“, ისევე როგორც თებერვლის აგრესიის წინ, ჩინეთს ჯარები გადაჰყავს სამხრეთის მიმართულებით ვიეტნამისა და ლაოსის საზღვრებისაკენ.

ამავე დროს, წერს გაზეთი, პეკინი ყოველნაირად ცდილობს შეიპიროს სხვა ქვეყნების მხარდაჭერა თავის მოქმედებაში. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პეკინში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მონდეილის ვიზიტს, რომლის დროსაც ჩინეთის ხელმძღვანელობამ „ვაშინგტონის ლოცვა-კურთხევა მიიღო“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ხაზს უსვამს „პიპლზ უორლდი“, საჯაროდ უნდა დაგმოს ყოველგვარი ახალი აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, უთუოდ შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ.

ტოკიო. იაპონელ კომუნისტთა გაზეთი „აკაჰატა“ ყურადღებას მიაპყრობს იმ საფრთხეს, რომელიც მოჰყვება პეკინის სამხედრო პროვოკაციებს ინდოჩინეთის ქვეყნების წინააღმდეგ და ჩინეთის ჯარების მოსალოდნელ შეჭრას ვიეტნამსა და ლაოსში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, თავისი სამხედრო ავანტიურისათვის ვიეტნამისა და ლაოსის საზღვრ

ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲗᲘ

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

რაც არ შეგვფერის, არ გვეკადრება!

ᲨᲔᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

**ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲤᲝᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲗᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲗᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲨᲘ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ

დაზიანდა? შეკეთდეს!

როგორ აღწევენ, რომ 10-15 წლის წინათ შეძენილი მერხები თუ მაგიდები დღესაც ახლად გამოიყურება?

ᲙᲐᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲜᲪ, ᲠᲝᲛ 10-15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲗ: ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲗ ᲘᲛᲘᲡᲐᲛᲪ, ᲠᲝᲛ 10-15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ? ᲔᲡ ᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲠᲝᲗᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲯᲝᲑᲐ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲝᲨᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲝᲜᲘᲗ: „ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲚᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘ, ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ, ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ, ᲔᲖᲝᲡ, ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲗᲐ, ᲐᲛᲝᲗ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲒᲐᲚᲬᲘᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ 5-6 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲐᲮᲝᲒᲔᲑᲐ ᲐᲗᲐᲡᲗᲐᲜᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲜᲪ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲰᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲝᲨᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲝᲜᲘᲗ: „ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲚᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘ, ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ, ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ, ᲔᲖᲝᲡ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲝᲨᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲝᲜᲘᲗ: „ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ? ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲗᲓᲔᲡ!“ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲙᲚᲐᲡᲔᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲣᲜᲔᲠᲒᲝᲡ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲙᲚᲐᲡᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ, ᲐᲛᲝᲗ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲐᲚᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ.

ᲗᲣᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲜᲓᲝᲛᲔᲑᲗᲘ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲖᲔ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲡᲐᲛᲫᲚᲐᲣᲠᲘᲐᲜ ᲠᲐᲖᲛᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲩᲕᲘᲗᲐᲜᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲪᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲗ: ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲗ ᲘᲛᲘᲡᲐᲛᲪ, ᲠᲝᲛ 10-15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ? ᲐᲜ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲮᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ-ᲐᲛᲝᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲯᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲣᲜᲔᲠᲒᲝᲡ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲠᲝᲗᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲯᲝᲑᲐ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲝᲨᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲝᲜᲘᲗ: „ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ? ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲗᲓᲔᲡ!“ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲡ. ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘᲐ ᲛᲙᲒᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲪᲣ ᲗᲘᲗᲝᲛᲝᲓᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲡᲜᲘᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ? ᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲯᲝᲑᲐ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲝᲨᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲝᲜᲘᲗ: „ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲐ? ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲗᲓᲔᲡ!“ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲮᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ? ᲐᲜ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲮᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ-ᲐᲛᲝᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲪᲯᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲣᲜᲔᲠᲒᲝᲡ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲠᲝᲗᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ

МОСКОВСКИЙ ТЕАТР НА ТАГАНКЕ

მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის თბილისში გასტროლების

20 სექტემბერს თბილისში, პროფკავშირების სასახლეში გასტროლებს იწყებს მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის კოლექტივი. საგასტროლო რეპერტუარშია ბ. ვასილიევის „განთიადი აქ მშვიდი იცის“..., ფ. აბრამოვის „ხის ცხენები“, მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, შექსპირის „ჰამლეტი“, მოლიერის „ტარტიუფი“, თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, ე. სტავინსკის „პიკის საათია“, ვ. მაიაკოვსკის „ისმინეთ“ (პოეტური სანახაობა). ქვემოთ ვბეჭდავთ თეატრის მთავარი რეჟისორის იური ლიუბიმოვის წერილს, რომელშიც ავტორი მკითხველებს ესაუბრება თეატრის შემოქმედებითს სახეზე და, საერთოდ, ჩვენს დღეებში სასცენო ხელოვნების როლსა და მნიშვნელობაზე.

სატირაც, პათეტიკაც!..

ახალ მაყურებელთან შეხვედრა ჩვენთვის ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. ამას თავაზიანობისათვის არ მოგახსენებთ. დარწმუნებული ვარ, რომ თეატრის პრივილეგიას — მიიპყროს საზოგადოებრიობის ყურადღება — ისტორიამ ბოლო მოუღო, ისევე, როგორც ბევრ სხვა მოძველებულ პრივილეგიას. ნდობა ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა მოიპოვო, და ეს იოლი არ გახლავთ.

ხელოვანმა უნდა იცოდეს, რომ მის ხელოვნებას მხოლოდ მაშინ გამოეხმაურებიან, როცა იგი რაიმე ამაღელვებელსა და საჭირბოროტოს გვიჩვენებს.

ჩვენი პირველი დადგმა იყო ბ. ბრეჰტის „სეზუანელი კეთილი კაცი“. ჩვენ ვცდილობთ, რომ არც ერთი ჩვენი სპექტაკლი გულგრილი არ იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. ჩვენ ბრეჰტის მცნებათა ერთგული ვართ და არ ვმალავთ ჩვენს დამოკიდებულებას იმისადმი, რასაც წარმოვსახავთ. არ ვერიდებით არც სატირას, არც პათეტიკას, გულახდილად დაკვირდებ ყოველივე იმას, რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევს, და ასევე გულწრფელად ვამკვიდრებთ იმას, რაც მართლად და პატიოსნად წარმოგვიდგენია.

ჩვენი თეატრი დაიბადა 1964 წლის 23 აპრილს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ზეიმობის მეორე დღეს. ეს მოულოდნელი დამთხვევა კი არ იყო, არამედ ხელოვნების მოქალაქეობრივი მისიის აღიარება.

ტაგანკის თეატრს უყვარს პოეზია, მისი სახეები, მდიდარი ფანტაზია, შორეული და ახლო დროის, ისტორიულისა და ინტიმურის თამამი გადაწვნა.

ჩვენ ვეძებთ ჩვენი ფიქრებისა და გრძნობების მეტაფორული, რაც შეიძლება ნათელი გამოხატვის ხერხებს და მაყურებლის შემოქმედებითი აქტიურობისა და თანამონაწილეობის იმედი გვაქვს.

მხატვრული თავისებურება ორიგინალობანა კი არ არის, არამედ საარსებო აუცილებლობაა. მაგრამ რის თქმა შეუძლია იმას, ვინც არ იცის, თუ როგორ უნდა თქვას ის, რაც სურს? სცენაზე რეალური მოვლენის უშუალო გადატანა ნაყალებედ შეიძლება იქცეს. თეატრის სიმართლე გამოგონილია, მაგრამ გამოგონილია ისე, რომ შეესაბამება ჭეშმარიტი ხელოვნების კანონებს. ხელოვნება სახეებით მეტყველებს, და ჩვენ არ ვმალავთ ამას, როცა ვცდილობთ ცხოვრების ზუსტი, სიკვდილისშემდგომი ნიღბის მსგავსი რაღაც კი არ მივაწოდოთ მაყურებელს, არამედ ცხოვრების არსი, მისი ყველაზე დამახასიათებელი მხარეები, თეატრი ბრმებისათვის არ არის, ამ ხელოვნებას არა მარტო უსმენენ, არამედ ხედავენ კიდეც. მე მიტაცებს იმის შესაძლებლობა, რომ პიესაში მივაგნო არა მარტო აზრობრივ, არამედ წმინდა თეატრალურ სანახაობითს მსვლელობასაც. აზრი გამოიხატება არა მარტო სიტყვით, არამედ სხეულითაც. თეატრი სინთეზური ხელოვნებაა, იგი შეისისხლხორცებს არა მარტო ლიტერატურას, არამედ ფერწერასაც, ქანდაკებასაც, მუსიკასაც... პლასტიკას, სინათლეს, ბგერას... როგორც ლექსში ირითმება და ერთიანობას იძენს სხვადასხვა ცნება, ისე თეატრში შერწყმულია ყოველივე ეს. და სცენური კომპოზიციის, სცენური მონტაჟის ამ ენას ძალიან ბევრი რამის თქმა შეუძლია მაყურებლისათვის თავისი პირობითი ენით.

როგორც ცნობილია, ნახშირისა და გრაფიტის ნარევი დენთს იძლევა. ჩვენც ვცდილობთ ასაფეთქებელ ნივთიერებად შევაერთოთ სცენის ელემენტები, რათა ამ აფეთქებამ მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით გააცისკროვნოს მთელი სპექტაკლი, ნათელი მოჰფინოს ადამიანის სამყაროსა და სულიერ ცხოვრებას.

შემოქმედება, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, იდუმალეთში წასვლაა, ახლის აღმოჩენაა. რამპის უკან ნივთებმა, მოვლენებმა და ადამიანებმა უნდა ჩაბოიგალიჯონ გაცვეთილი გარსი და გაგვაოცონ თავიანთი სიახლით. ხელოვნება ჩვეულებრივის, ყოველდღიურის არსის მაძიებელია. ფორმა — ეს არის სიმართლის თქმის ყველაზე გამომხატველი საშუალება, ეს არის იდეების უსაზღვრო გამწვავება, რომელსაც შეუძლია შეანგრიოს გულგრილობის ჯვარეანი. შესაძლოა, ჩვენთვის ინიტიმაც იყოს უცხო თეატრის ეგრეთ წოდებული საყოფაცხოვრებო ფორმები, რომ მე არ ვცნობ ცხოვრებისადმი მშვიდ, მშვრტელობითს დამოკიდებულებას. ამიცანა ის კი არ არის, რომ ბრმად მივბაძოთ სინამდვილეს, არამედ ის, რომ გარდავქმნათ, იგი. მარქსი ამბობდა: ფილოსოფოსნი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ აეხსნათ სამყარო, საქმე კი ის არის, რომ იგი გარდავქმნათო.

ჩვენი ცხოვრების მანძილზე თეატრში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამი მიმართულება ჩამოყალიბდა. ხალხურ-ეროვნული, „სეზუანელი კეთილი კაცის“, „10 დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება“, „დედა“, „რა ვაკეთოთ“ და სხვა ამისთანათა ტიპისა; მეორე მიმართულება — პოეტური წარმოდგენები: „მკვდრები და ცოცხლები“—პუშკინი, ბ. პასტერნაკი, ვ. მაიაკოვსკი, ა. ვოზნესენსკი, ე. ევტუშენკო, ბ. ოკუჯავა და სხვ. ჩვენი თანამედროვენი — ფ. აბრამოვი, ვ. ბიკოვი ი. ტრიფონოვი, ბ. მოჟაევი, ბ. ვასილიევი. გ. ბაკლანოვი. და ბოლოს, დიდებული კლასიკა: შექსპირი, მოლიერი, დოსტოევსკი.

ჩვენ ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება ამაღლებული ზრახვები და ამაღლებული ოსტატობა, ღრმა შინაარსი და ნათელი ფორმა. ვიმეორებ, ხელოვანს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მოითხოვოს ყურადღება, როცა იცის, თუ რა უნდა თქვას და როგორ უნდა თქვას, ჩვენ გვიჭირს იმაზე ბჭობა, თუ რას მიაღწია ჩვენმა თეატრმა.

მაგრამ ჩვენ დღემუდამ გვაფიქრებს ადამიანის ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, დაუცხრომლად ვეძებთ საკუთარ მხატვრულ ენას, და ეს გვაიძულებს, რომ კეთილად მიგვიღებთ ჩვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში, საქართველოში.

ი. ლიუბიმოვი,
მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის მთავარი რეჟისორი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრძელდება საერთაშორისო კონფერენცია ნახევარგამტარებისა და მონათესავე მასალების რადიაციული ფიზიკის საკითხებზე.

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა კონფერენციის რამდენიმე გამოჩენილ მონაწილეს. გთავაზობთ მათს საუბარს.

ვ. ტუჩკევიჩი — აკადემიკოსი, ლენინგრადის ა. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი:

რადიაციული დეფექტების შესწავლა, ერთმანეთთან და კრისტალში არსებულ სხვა დეფექტებთან (დისლოკაციები, ქიმიური მინარევები და ა. შ.) მათი ურთიერთქმედება აღრმავებს ჩვენს ცოდნას მყარი სხეულების თვისებათა შესახებ, რომლებიც არსებითად სწორედ ამ დეფექტებზეა დამოკიდებული. ამგვარ გამოკვლევებს, ფუნდამენტური მეცნიერული ხასიათის გარდა, გამოყენებითი ხასიათიც აქვს. რადიაციული დეფექტების კვლევა საბჭოთა კავშირში ბევრგან მიმდინარეობს — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, — კერძოდ, ფიზიკის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში, აგრეთვე სხვაგანაც.

ფიზიკოსთა მეცნიერული კონტაქტები

საერთაშორისო კონფერენციაზე

მჭიდრო კავშირურთიერთობაა ჩვენს ინსტიტუტსა და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებს შორის. დავასახელებ აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს, კიბერნეტიკის ინსტიტუტს, თბილისს უნივერსიტეტს, ზოგიერთ საუწყებო ინსტიტუტს.

ბევრმა თბილისელმა ამხანაგმა ჩვენთან გაიარა ასპირანტურის კურსი, პრაქტიკა და ახლა წამყვანი სპეციალისტები არიან შობლიურ დაწესებულებებში.

ა. ზეებერი, — შტატგარტის უნივერსიტეტის პროფესორი, მაქს პლანკის სახელობის ლითონთა ინსტიტუტის დირექტორი: უკვე 20 წელია, რაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება ამ კონფერენციის ანალოგიური ფორუმები. წინა შეკრებებზე არაერთგზის გამოითქვა სურვილი, რომ ერთ-ერთი მომავალი კონფერენცია საბჭოთა კავშირში მოწყობილიყო. ეს პირველი ასეთი ფორუმი იქნებოდა თქვენს ქვეყანაში. არჩევანი თბილისზე შეჩერდა. ანდრონიკაშვილის ინსტიტუტსა და კეკელიძის ლაბორატორიაში წლების მანძილზე ეწევიან ნაყოფიერ კვლევას რადიაციული ფიზიკის დარგში.

ჯ. კორბეტი — ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი, ამ უნივერსიტეტთან არსებული მყარ, სრულ სხეულებში დეფექტების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი: ეს ჩემი მეოთხე სტუმრობაა საბჭოთა კავშირში. ორი წლის წინათ თქვენ ქალაქსაც ვეწვიე — შევხვედი უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ჩხიკვიშვილს. გვქონდა მოლაპარაკება ორ უნივერსიტეტს შორის მეცნიერული კონტაქტების გამო — ამ კონტაქტებს ამჟამად უკვე ეყრება საფუძველი. თბილისს კონფერენცია ჩინებულად მოაწყო ანდრონიკაშვილმა. დაუღალავ ორგანიზატორად გვიჩვენა თავი გ. კეკელიძემ.

საავერლოვანი სეზონი

სექტემბერია, შემოდგომის პირველი თვე... მცხუნვარე ზაფხულის შემდეგ ზომიერი თბილი ამინდები დადგა და ისევე, როგორც შუა ზაფხულში, საქართველოს შავი ზღვის ჯანმრთელობის კერების პლაჟები სავსეა დამსვენებლებით — აფხაზეთისა და აჭარის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები და პანსიონატები სრული დატვირთვით მუშაობს.

ეს სეზონი პოპულარულია ბალტიისპირეთისა და შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთისა და შუა აზიის, უკრაინისა და ციმბირის დამსვენებლათა და მოგზაურობის მოყვარულთა შორის... ციმბირელთა ერთი ასეთი ჯგუფი აღბეჭდილია გუდაუთის პანსიონატთან (ზემოთ); აფხაზეთის ტურისტული რუკების ერთ-ერთი პოპულარული პუნქტი—„ცისფერი ტბა“; „შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტი“ — ბიჭვინთა და მისი შესანიშნავი პლაჟები.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„მცირე მიწის“ ნაკვალევზე

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მცირე მიწის“ საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის კოლექტივმა გადაწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა ლეგენდარული ბრძოლების ადგილები. ვიყავით გმირ ქალაქებში ნოვოროსიისკსა და ქერჩში.

თითოეული ჩვენგანისათვის დაუვიწყარი იქნება ეს შთამაგონებელი ექსკურსია.

ნ. ჯანაშია.

ტყის სიკეთე

აბაშა. (საკ. კორ. ბ. მილიუტინი), რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ კეთილარის მშრომელები ზრუნვას არ აკლებენ ქარსაფარ ზოლს, რომელიც სოფლის ნამდვილი მშვენებაა, იგი 36 ჰექტარზეა გაშენებული. აქვეა თხმელის ტყეც, რომელსაც 21 ჰექტარი უკავია.

კოლმეურნეობის გამგეობა დიდად ზრუნავს თუთის პლანტაციების გამრავლებისათვის, რასაც ხელს უწყობს შესანიშნავი სანერგე. აქ 10.000 ძირი თუთის ნერგი გამოიყვანეს.

პრემიერა დელფინარიუმში

გათუმის დელფინარიუმში პრემიერაა. ლურჯკოსტუმიანი ქალი აუზში ორ დელფინს მიაჭროლებს: მომთვინიერებელი გიორგი იოსავა ცდილობს მიაღწიოს დელფინების თანაბარ სიჩქარეს წყვილად ცურვის დროს. ეს არის ახალი სადემონსტრაციო პროგრამის ერთ-ერთი ნომერი. მრავალრიცხოვან მაყურებელს ასეთი ტრიუკიც ანცვიფრებს: მომთვინიერებლის ბრძანებით სამი დელფინი ერთდროულად ხტება ფიცარნაგზე. ამ ტრიუკის სირთულე ის არის, რომ თავდაცვის ინსტინქტი ზღვის ძუძუმწოვართ აიძულებს თავი აარიდონ წყალმარჩხ ადგილებს, რომ არაფერი ვთქვათ ხმელეთზე. ფიცარნაგზე პირველად ვასილისა აძვრა. შემდეგ ეს ჩვენი პერსეიმ და ინგამაც გამოიმუშავეს.

აი დელფინები სინქრონულად ხტებიან წყვილ-წყვილად მაღლა. ზღვის ამ იდუმალი ცხოველების შესწავლისა და მათი წვრთნის ნამდვილი ენთუზიასტები გახდნენ აქ, საბჭოთა კავშირის საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების დელფინარიუმის მეცნიერი თანამშრომლები თენგიზ წერეთელი, გელა გეჯაძე და ვალერი კარაბაშიანი. გატაცებით ასრულებენ დელფინების „აღმზრდელების“ მოვალეობას უფროსი სპეციალისტები — მომთვინიერებლები გიორგი იოსავა და სერგი სუგლობოვი.

დღეს შავი ზღვის დელფინები — აქ კი მათი რიცხვი თორმეტს აღწევს — კარგად არჩევენ ან ასრულებენ ოცდაათამდე ბრძანებას. ხელის ზევით აწევისას ისინი წყლიდან სამ მეტრამდე სიმაღლეზე ხტებიან, ხელის წრიული მოძრაობა და — კუდზე დამდგარი დელფინები ტრიალებენ. ბრძანების გაცემისას დელფინები წყალში დაიჭროლებენ ნავს, რომელშიც ადამიანი ზის, თამაშობენ „კალათბურთს“ და „ფრენბურთს“...

— მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დელფინებს ფენომენური მეხსიერება ჰქონდეთ, ამბობს ინსტიტუტის ზღვის ძუძუმწოვართა განყოფილების გამგე ზურაბ ბოლქვაძე — მაგალითად, დელფინს რამდენიმე თვე „ახსოვს“, რომ მან უნდა დაიჭიროს ბურთი, მაგრამ „ავიწყდება“, რომ უნდა ჩაადოს იგი კალათში.



ჩვენ ვეცადეთ გვესწავლებინა დელფინებისათვის ჯერ წყალში ჩაგდებული ბურთი მოეტანათ, მერე კი რგოლი. ეს შეცდომა იყო. დელფინები ვერ ხვდებოდნენ, რომ რგოლი ცხვირზე უნდა ჩამოეცვათ, და არა — ბურთივით ეტარებინათ. შევცვალეთ სწავლების მეთოდიკა: ჯერ — რგოლი, მერე — ბურთი, და ახლა დელფინები მშვენივრად ართმევენ თავს დავალებას.

ს. ბელსკი,
(საქინფორმის საკ. კორ.).

ოცდამეოთხე ტური დამთავრდა

ბაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის ბოლო ორი მატჩი. შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა-„კრილია სოვეტოვი“ — 1:0, „ლოკომოტივი“-„ზენიტი“ — 1:1. ამ ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

„დინამო“ (ა.)	16	5	3	32-11	37
„შახტიორი“	15	7	2	40-15	37
„სპარტაკი“	14	7	3	44-17	35
„დინამო“ (თბ)	18	9	2	36-15	34
„დინამო“ (მ)	11	6	7	28-16	28
„ზენიტი“	10	6	8	32-30	26
ცსკა	9	6	9	29-25	24
„არარატი“	8	11	5	30-28	24
„დინამო“ (მნ)	9	5	9	25-22	23
„ფახთაქორი“	8	5	9	26-33	21
„ჩერნომორეცი“	6	9	9	22-25	20
„ტორპედო“	6	8	10	22-28	20
„ყაირათი“	6	4	18	21-38	16
„ლოკომოტივი“	4	10	10	29-40	16
„ზარია“	4	7	13	26-42	15
„ნეფტჩი“	4	7	13	15-32	15
ასკ	3	12	9	23-39	14
„კრ. სოვეტოვი“	5	2	17	13-42	12

ხელბურთელთა საკავშირო...

მინსკსა და ლიტვის ქალაქ ალიტუსში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ტურნირი გაიმართება ოთხ წრედ. მესამე და მეოთხე წრეში მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ ექვსი საუკეთესო გუნდი. გთავაზობთ შედეგებს:

მინსკი. ასკ (კიევი)-„ტაშკენტეცი“ (ტაშკენტი) — 30:24. ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი)-ასკ (ლვოვი) — 28:20, ასკ (მინსკი)-ცსკა — 22:25, ცსკა-„ტაშკენტეცი“ — 26:15, ფიზკულტურის ინსტიტუტი-ასკ (კიევი) — 28:27, ასკ (მინსკი)-ასკ (ლვოვი) — 26:21. „ტაშკენტეცი“-ასკ (ლვოვი) — 25:21, ცსკა-ასკ (კიევი) — 27:21. ფიზკულტურის ინსტიტუტი-ასკ (მინსკი) — 26:34.

ალიტუსი. საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)-„კუნცევო“ (მოსკოვი) — 23:22, **„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — 35:31 (17:17),** „გრანიტასი“ (კაუნასი), „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — 27:24, საავიაციო ინსტიტუტი-„პოლიოტი“ — 34:28, **„ბურევესტნიკი“-„გრანიტასი“ — 32:31 (17:12),** „კუნცევო“-ინდუსტრიული ინსტიტუტი — 28:28, საავიაციო ინსტიტუტი-„გრანიტასი“ — 35:30, „პოლიოტი“-ინდუსტრიული ინსტიტუტი — 29:23, **„კუნცევო“-„ბურევესტნიკი“ — 29:26 (17:13).**

დევისის თასზე

ათენში დამთავრდა დევისის თასის გათამაშების პროგრამით გამართული სსრ კავშირისა და საბერძნეთის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ა. ზვერევმა პირველ დღეს მოიგეს ერთეულთა შეხვედრები. მეორე დღეს მოიწყო წყვილთა შეხვედრა. მეტრეველმა და ზვერევმა დაამარცხეს ნიკოს კალოგეროპულოსი და გეორგიუს კალოველონისი — 6:4, 6:2, 6:4. დარჩენილ ორ ერთეულთა შეხვედრამდე, საბჭოთა ნაკრებმა საბერძნეთის გუნდთან საბოლოო გამარჯვება უკვე გაინაღდა.

რიგის საზღვნათმოძრისო...

ლატვიის დედაქალაქ რიგაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ასპარეზობა. მერვე ტურში ტარიანმა მოუგო როდრიგესს. დაზავდნენ გრინფელდ-ტალი და მედნის-რიბლი. მეცხრე ტურში ერთადერთი პარტია დამთავრდა, რომელშიც ტროისი და რიმსდეიკი ყიამზე შეთანხმდნენ.

გადადებული შეხვედრების დამთავრებამდე მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ტალი — 6 ქულა (2 გადადებული პარტია), გეორგიუ — 5 (2), ლარსენი და ადორიანი — 4,5-4,5 (3-3).

საღ, რა, როდის

გუშინ, გუშინწინ

მძლეოსნობა. დონეცკში შეიარაღებული ძალების სპორტსმენთა შეჯიბრებაზე თავი ისახელა ლენინგრადელმა ელენე გოლობოროდკომ. მან სიმაღლეზე ხტომაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 195 სანტიმეტრი.

ველოსიპორტი. საფრანგეთის გზებზე დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ლავენირი“. საერთო ჩათვლაში ყველას აჯობა კუბიბშეველმა ს. სუხორუჩენკოვმა. საბჭოთა ნაკრებმაც პირველი ადგილი დაიკავა.

ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მეტოქემ ინგლისის საჩემპიონატო მატჩი „ლიდსთან“ ფრედ დამამთავრა (1:1) და კვლავ VIII ადგილზეა.

მსოფლიოს ჩემპიონმა—არგენტინის გუნდმა ბელგრადში ამხანაგური მატჩი წააგო იუგოსლავიის ნაკრებთან — 2:4.

წყალბურთი. ქალაქ ვუდლენდში (აშშ) დამთავრდა მსოფლიოს თასების გათამაშება, ვაჟთა შორის სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო ინგლისელი კ. სნოუდი. მინსკელი ვ. კოსენკოვი მესამე ადგილზე გამოვიდა. ქალთა შორის ყველას აჯობა ავსტრალიელმა ვ. მაკფარლანმა. მოსკოველი ი. კალინინა მესამე იყო. სამგიეროდ, კალინინამ კოშიდან ხტომაში გამარჯვა. ვაჟთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო გ. ლუგანინი (აშშ).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ცისფერი ეკრანი

სექტემბრამდე

18 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“. ნაწყვეტები, 11.10 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — დ. შოსტაკოვიჩი. კონცერტი ორი ფორტეპიანოსათვის, 11.45 — „ცხოვრების წესი და უკანმრთელობა“, 12.15 — ვ. კარუშოს კონცერტი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ე. ჩარენცის ლექსები, 12.30 — მიკროფონთან არის ანსამბლი „75“, 12.40 — კომენტატორ საერთაშორისო თემაზე, 12.45 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 13.40 — აფხაზური სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კიბეზეა“. კ. სიმონოვი — „სამხრეთული მოთხრობები“ (გაგრძელება), 14.20 — ი. ჰაიდნი. კამერული ნაწარმოებები, 17.15 — ა. დარგომიჟსკი. ოპერა „ალის“ ნაწყვეტები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „ახალი ქართული რომანები“, 19.25 — მ. ოგინსკი. პოლონეზი, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ერევნიდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის, „მისამართი გვიკარნახა თქვენმა წერილმა“, 21.30 — მღერის ანსამბლი „რუსთავი“, 22.00 — სპექტაკლების სცენები, 23.30 — ვ. გოროვიცის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

20 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.37 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 11.10 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — „ბავშვობა დადგება, 11.40 — „სიიბაბუკე და ლექსი ერთია“, 12.15 — ო. ფელცმანი. სიმღერები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ე. მაჭავარიანი. ბალეტ „ოგეელოს“ სავიოლინო პიესები, 12.45 — კომეტგარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ო. სტროკი. მსუბუქი ინსტრუმენტული პიესები, 13.40 — მღერის ლ. ჭყონია, 14.00 — „ლიტერატურული კიბეზეა“. კ. სიმონოვი — „სამხრეთული მოთხრობები“ (დასასრული), 14.20 — ს. პროკოფიევი. კანტატა „ალექსანდრე ნეველი“, 17.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 17.35 — მოსწავლეთათვის. „შრომასა და ბრძოლაში — იმედებიან“, „გმირები“, 18.00 — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ამბები“, „სამხრეთ ოსეთის რადიოს გადაცემა, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „მილიონობა ლენინური უნივერსიტეტი. „სახელმწიფო გეგმა პარგის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია“, 19.20 — მ. გლინკა. ოპერა „რუსლან და ლუდმილა“ აღმოსავლური ცეკვები, 19.40 — „ეკრანის მელოდიები“, 20.28 — სახელოვანი 60 წელი“. რადიოკომპოზიცია „სერგო ორჯონიკიძე“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.25 — კონცერტი. ჰ. ბერლიოზის ნაწარმოებები, 23.30 — „ლირიკული მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

21 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 „დილის კონცერტი“. 08.37 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. ფრადკინი. სიმღერები, 11.10 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ი. ტუსკია. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ბაზალეთის გმირი“, 11.40 — „პარგიოული მშენებლობის ლენინური პრინციპები“, 12.15 — მღერის ანსამბლი „გაია“, 12.30 — კომეტგარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს ჩაიკოვსკის სახელობის მეექვსე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მ. დმიტრიევი, 17.40 — მოსწავლეთათვის. აკაკი წერეთლის საამაღლესო ლექსები, 18.00 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 19.00 — „ზლობინის მეთოდი ბინათმშენებლობაში. მიღწევები და ხარვეზები“, 19.15 — რ. გაბიჩვაძე. კამერული სიმფონია, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „დიდი ოსი მწერალი. (კ. ხეთაგურაოვის დაბადების მე-100 წლისთავისადმი), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ქართული სპექტაკლების სცენები, 22.00 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 23.30 — „ლირიკული მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

22 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“. 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ბ. ბაერაძე. საფორტეპიანო ციკლი „სვანური ჩანახატები“, 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „ვოცელია ჩემი ქვეყანა“. საბჭოთა პოეტების ლექსები, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — გ. ხუნანშვილი. „მარადისობის ორი საათი“, რადიოდადგმა, 15.15 — ვ. მოცარტი. საოპერო მუსიკა, 16.15— რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეორეხანისათვის, 16.50 — „კამერულ-ინსტრუმენტალური პიესები, 17.15 — „ბავშვებისათვის. საყმაწვილო ოპერა „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი ვარსკვლავი ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, კონცერტი, 19.00 — „მოლტი“. საგარეულ-ოფიციალური რადიოჟურნალი, 19.30 — ჯ. კიტი, კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 20.30 — „ჩვენი ეროვნული ჩანაწერები — დ. ბადრიძის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 21.30 — „ახალგაზრდობისათვის, „საუბარს განაგრძობს რადიომსმენელი“, 22.00 — „სალამო მშვიდობისა!“, 23.30 — მღერიან კინოსა და თეატრის მსახიობები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

23 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ნაცნობი მელოდიები“, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 12.15 — „ბოეგი მიკროფონთან“ — მ. ფოცხიშვილი, 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა“, 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი“, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ (ბაქოდან), 15.30 — „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“, 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 16.30 — საერთაშორისო მიმომხილველნი „ბრაგალ ბაგიდასთან“ (მ.), 17.15 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა ცოდნ